

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი #9

ქ. თბილისი

2026 წელი, 24 თებერვალი, 11:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნიკოლოზ კახეთელიძე, ზურაბ აბაშიძე, ბექა დავითაშვილიანი, ზურაბ ჩიკვილაძე, კონსტანტინე ზარნაძე, გივი ჩხარტიშვილი, ალექსანდრე ასათიანი, ზაქარია წიკლაური, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი: ნინო ვარდოსანიძე

სხდომას თავმჯდომარეობდა: ნიკოლოზ კახეთელიძე

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

გოგი ჩიქოვანი - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსი
თემურ ბოლოთაშვილი - სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსი

სერგო ბირკაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურდიული საქალაქო სამსახურის უფროსი

ოთარ ჩიტიძე - ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე

№	ს ა კ ი თ ხ ი ს დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა
1	„მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის), ასევე, სამშენებლო სამართალდამრღვევის მიერ სამშენებლო სამართალდარღვევის აღიარების შემთხვევაში უნებართვოდ ან სამშენებლო დოკუმენტაციის მოთხოვნების დარღვევით წარმოებული მშენებლობის თაობაზე აქტის გამოცემის დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის შემოღების, გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ (საკრებულოს №12-0326051110-03- 20.02.2026)
2	„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032605151-03 20.02.2026)

3	<p>„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლების გამოსყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქთბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №6-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-0326050152-03 19.02.2026)</p>
4	<p>„კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის II მკ/რ-ნი, ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარედ (ნაკვეთი N13); ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის ფერდობების II-III-IV მკ/რ-ნის მიმდებარედ (ნაკვეთი N8); ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის ფერდობზე (ნაკვეთი 15/225) არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: 01.14.16.015.526, ფართობი - 1 366 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 ოქტომბრის N531 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (საკრებულოს №03-032605493 -23.02.2026)</p>
5	<p>კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა № 13, ქალაქი თბილისი, დიდი დილომი IV მ/რ, №25 კორპუსის მიმდებარედ, მე-2 მ/რ-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.10.06.002.080, ფართობი - 3 442 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-0326043112-03 12.02.2026)</p>
6	<p>კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ჯავახეთის ქუჩა №36ა, №30, №34, №32, №38, №36-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, აეროდრომის დასახლება, ქუჩა I, №17ა, №17, №15, №13, №7-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ზურაბ ჩაჩუას ქუჩა №21, №11დ, №23ა, №27ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებთან (საკადასტრო კოდები: 01.19.36.001.530; 01.19.36.001.123; 01.19.36.001.529; 01.19.36.001.217; 01.19.36.001.176; 01.19.36.001.013; 01.19.36.001.177; 01.19.36.001.152; 01.19.36.001.535; 01.19.36.001.171; 01.19.36.001.511; 01.19.36.001.510; 01.19.36.001.163; 01.19.36.001.037; 01.19.36.001.162; ფართობი - 5 444 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032605028-03 19.02.2026)</p>
7	<p>კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ილია ვეკუას ქუჩა, N11გ-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.13.001.122, ფართობი - 26 125 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032605156-03 20.02.2026)</p>

8	<p>„კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, სანაპიროს ქუჩა, N5; ქალაქი თბილისი, ელგუჯა ამაშუკელის შესახვევი N11; ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის ფერდობი, მე-2 მ/რ, ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარე ტერიტორია; ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის ფერდობის IV მ/რ-ში არსებული მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.16.015.576) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032605127-03-02.2026)</p>
9	<p>„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032603610-03 05.02.2026; №12-0326043105-03 12.02.2026; №12-032604962-03 18.02.2026; №12-03260512-03 20.02.2026; №12-032605153-03 20.02.2026; 12-0326043110-03- 12.02.2026)</p>
10	<p>ქალაქ თბილისში, ჟორესის ქუჩა №13-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.19.22.003.045; №01.19.22.003.057; №01.19.22.003.087; №01.19.22.003.024) სასაწყობე კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032603695-03 05.02.2026)</p>
11	<p>ქალაქ თბილისში, ქვემო ლისში; ქალაქი თბილისი, სოფელი ქვემო ლისზე (საკადასტრო კოდი: №01.72.16.097.011; №72.16.17.352; №72.16.21.804; №01.72.16.097.009; №01.72.16.097.007; №01.72.16.097.008; №72.16.21.080; №01.72.16.097.012) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლებისა და სამედიცინო-სპორტულ-სარეაბილიტაციო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-0326043106-03 12.02.2026)</p>
12	<p>ქალაქ თბილისში, ზაზა ალექსიძის ქუჩა, №1-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.13.034.040) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-0326043109-03 12.02.2026)</p>
13	<p>ქალაქ თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობაში; ქალაქი თბილისი, თბილისის ზღვის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, დავით იოსელიანის ქუჩა, №63, №65, №69-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: №81.21.06.784; 81.21.06.571; 81.21.06.400; 81.21.01.352; 81.21.06.432; 81.21.06.619; 81.21.06.635; 81.21.06.636; 81.21.06.783; 81.21.01.981; 81.21.06.008) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-0326043128-03 12.02.2026)</p>
14	<p>ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარცხენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.16.011.011) მრავალფუნქციური და ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-0326043131-03 12.02.2026)</p>

15	<p>ქალაქ თბილისში, ალექსანდრე თვალჭრელიძის IV შესახვევი, № 7, №3, №5; ქალაქი თბილისი, თვალჭრელიძის 4 შეს. №1-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №01.19.18.007.016; №01.19.18.007.048; №01.19.18.007.043; №01.19.18.007.018; №01.19.18.007.050; №01.19.18.007.056; №01.19.18.007.053) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032604864-03 17.02.2026)</p>
16	<p>“ ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი 10; ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირი N10-ში (ნაკვ. 4/17) არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: №01.17.11.002.013, N01.17.11.002.011, N01.17.11.002.018, N01.17.11.004.032, N01.17.11.004.033, N01.17.11.004.041) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე” (საკრებულოს №12-0326043108-03 - 12.02.2026)</p>
17	<p>ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი №24ა; ქალაქი თბილისი, გამზირი მოსკოვი, № 24ა, (ნაკვ.02/018; ნაკვ.02/049) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.19.34.002.017; №01.19.34.002.038; 01.19.34.002.194; 01.19.34.002.193; 01.19.34.002.041; 01.19.34.002.037; 01.19.34.002.191; 01.19.34.002.130) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032604865-03 -17.02.2026; 12-03260543-03 -23.02.2026)</p>
18	<p>ქალაქ თბილისში, ვარლამ ჩერქეზიშვილის ქუჩა, №21, №23, №23ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.17.12.015.040; 01.17.12.015.037; 01.17.12.015.039) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032604867-03 17.02.2026)</p>
19	<p>ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში; ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: №81.02.32.053; №81.02.32.017; №01.81.02.295.010; №81.02.02.401; №81.02.02.400; №81.02.02.381; №81.02.02.902; №81.02.02.696; №81.02.02.585; №81.02.32.052) ერთბინიანი სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03260492-03 18.02.2026)</p>
20	<p>ქალაქ თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ლისის ტბის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №72.16.20.519, №72.16.20.523, 72.16.20.521, 72.16.20.562, 72.16.20.527, 72.16.20.518, 72.16.20.520, 72.16.20.522, 72.16.20.524, 01.72.16.104.008, 72.16.17.862, 72.16.20.558, 01.72.16.104.011, 01.72.16.104.009-ის ნაწილი, 01.72.16.104.005-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03260493-03 18.02.2026)</p>

21	<p>ქალაქ თბილისში, სოფელი კიკეთი, ივანე გიგინეიშვილის ქუჩა, N 6; N 8; N4a, N10; ქალაქი თბილისი, სოფელი კიკეთი, ალექსანდრე ცომაიას ქუჩა, N 2, N4, N6; ქალაქი თბილისი, სამადლოს უბანი; არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.81.01.246.001; N01.81.01.246.055; N01.81.01.246.059; N01.81.01.246.058; N01.81.01.246.061; N01.81.01.246.012; N01.81.01.246.025; N01.81.01.246.024; N01.81.01.246.042; N01.81.01.246.063; N01.81.01.246.056; N01.81.01.246.043; 81.01.02.554-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებულ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032605152-03 20.02.2026)</p>
22	<p>ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ შინდისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N81.02.96.031; N81.02.06.510; N81.02.06.413; N81.02.94.194; N81.02.94.195; N81.02.94.715; N81.02.06.429; N81.02.93.369; N81.02.93.362; N81.02.00.162; N81.02.96.679; N81.02.96.678; N81.02.98.646; N81.02.06.496; N81.02.06.426; N81.02.96.026; N81.02.06.343; N81.02.06.390; N81.02.00.022; N81.02.06.389; N81.02.99.970; N81.02.96.692; N81.02.96.700; N81.02.94.717; N81.02.00.896; N81.02.00.815; N81.02.06.432; N81.02.97.361; N81.02.97.954; N81.02.95.824; N81.02.96.856; N 81.02.06.362; N 81.02.97.846; N 81.02.94.714; N 81.02.98.512; N81.02.95.577; N81.02.94.676; N 81.02.06.349; N 81.02.06.361; N 81.02.94.718; N 81.02.95.578; N 81.02.06.476; N81.02.00.987) და მიმდებარე დაურეგისტრირებულ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს № 12-032504527-03 - 14.02.2025)</p>
23	<p>ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №81.02.94.034; №81.02.00.670; №81.02.19.919; №81.02.19.920) და მიმდებარე დაურეგისტრირებულ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-0326043130-03 12.02.2026)</p>
24	<p>ქალაქ თბილისში, სოფელ ქვემო ლისში; ქალაქი თბილისი, სოფელი ქვემო ლისი, "ხოდაბუნი"; ქალაქი თბილისი, სოფელი ლისი, ხოდაბუნების მიწაზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №72.16.17.384; 72.16.17.386; 72.16.17.741) და მიმდებარე დაურეგისტრირებულ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-0326043132-03 12.02.2026)</p>
25	<p>ქალაქ თბილისში, სოფელი ლისი; ქალაქი თბილისი, სოფელი ქვემო ლისი, ვარდის წყარო; ქალაქი თბილისი, სოფელი ლისი, კოდის წყაროში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: №72.16.17.786; №72.16.17.421; №72.16.17.420; №72.16.17.544; №72.16.17.761; №72.16.17.740; №72.16.17.900) და მიმდებარე დაურეგისტრირებულ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-0326043134-03 12.02.2026)</p>

26	ქალაქ თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირი, პოლიციის სამმართველოს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.10.025.434) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე(საკრებულოს№12-032604866-03 17.02.2026)
27	ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: №81.02.94.957; №01.81.02.277.001-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ერთბინიანი და ორბინიანი ინდივიდუალური და სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს№12-032604934-03 18.02.2026)
28	„ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში; ქალაქი თბილისი, ნაფეტურებისკენ მიმავალ გზაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.06.004.002-ის ნაწილი) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის №205 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე(საკრებულოს№12-032603696-03 05.02.2026)
29	„ქალაქ თბილისში, ნადიკვარის ქუჩა №34-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში ოქროყანის დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.18.01.004.314;№01.18.01.002.264) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 თებერვლის №60 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებულიპროექტისდამტკიცების თაობაზე(საკრებულოს№12-032603697-03 05.02.2026)
30	ქალაქ თბილისში, ევგენი ხარაძის ქუჩა №18-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ხევძმარის ქუჩა №1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.11.12.019.202; №01.11.12.019.817; №01.11.12.019.201; №01.11.12.019.821; №01.11.12.019.823; №01.11.12.019.820; №01.11.12.019.039; №01.11.12.019.822; №01.11.12.019.809) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 ივლისის №315 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტისდამტკიცების თაობაზე(საკრებულოს №12-0326043129-03 12.02.2026)

31	„ქალაქ თბილისში, ქუჩა ტრიკოტაჟი, №3; ქალაქი თბილისი, ქუჩა ვ.ნინუა, №3-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.12.12.001.197, №01.12.12.001.196, №01.12.12.001.412, №01.12.12.001.208, №01.12.12.001.218, №01.12.12.001.409) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 ივლისის №342 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03260511-03 20.02.2026)
32	„ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა, N73ა/გიორგი გურამიშვილის ქუჩა, N1; ქალაქი თბილისი, გიორგი გურამიშვილის ქუჩა, N 1ა, N1ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.18.06.019.137; N01.18.06.019.062; N01.18.06.019.078) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 ივლისის N344 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032605154-03 20.02.2026)
33	მისამართებზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N1 (ს/კ N01.10.13.015.114) და შარტავას ქუჩა N3 (ს/კ N01.10.13.015.112) არსებული, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/ნ: 204460957) და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების და დაზარალებულ პირთა (მათ შორის ყოფილი ინდივიდუალური ბინათმენაშენეთა ამხანაგობა - „თაბუკაშვილი 88“-ის მიერ დაზარალებული პირები) მიმართ ფართის და/ან თანხის სახით გასაცემი ვალდებულებების შესრულებისთვის გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს №12-0326051111-03- 20.02.2026)
34	„მისამართზე - ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი N 9ა,ბ,გ, ს/კ: N01.17.12.003.255 (ამჟამად, მოსკოვის გამზირი N 9ა - ს/კ: N01.17.12.003.255, მოსკოვის გამზირი N 9 ბ,გ - ს/კ: N01.17.12.003.276) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის ფარგლებში შპს „მეტი დეველოპმენტის“ (ს/ნ: 404568384) და მასთან აფილირებული კომპანიების დაზარალებულ პირთა მიმართ თანხის სახით შესასრულებელი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს №12-0326051111-03- 20.02.2026)

კომისიის თავმჯდომარე ბატონი ნიკოლოზ კახეთელიძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ ხმათა უმრავლესობით დაამტკიცა დღის წესრიგი.

1. „მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) საწარმოო პირობების შესრულების დადასტურების

(ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის), ასევე, სამშენებლო სამართალდამრღვევის მიერ სამშენებლო სამართალდარღვევის აღიარების შემთხვევაში უნებართვოდ ან სამშენებლო დოკუმენტაციის მოთხოვნების დარღვევით წარმოებული მშენებლობის თაობაზე აქტის გამოცემის დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის შემოღების, გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ (საკრებულოს №12-0326051110-03- 20.02.2026)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსმა გოგი ჩიქოვანმა. მისი თქმით, მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის), ასევე, სამშენებლო სამართალდამრღვევის მიერ სამშენებლო სამართალდარღვევის აღიარების შემთხვევაში უნებართვოდ ან სამშენებლო დოკუმენტაციის მოთხოვნების დარღვევით წარმოებული მშენებლობის თაობაზე აქტის გამოცემის დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის შემოღების, გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მომზადება განპირობებულია გარკვეული ცვლილებების განხორციელების აუცილებლობით. კერძოდ, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, რომლის შედეგად კანონში დაემატა ახალი სამართლებრივი ინსტრუმენტები სამშენებლო სამართალდარღვევის აღიარების შემთხვევაში წარმოებული მშენებლობების სამართლებრივი სტატუსის მოწესრიგების დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის დადგენის მიზნით. კერძოდ: აღნიშნული კანონის მე-5 მუხლს დაემატა 7 2 პუნქტი, რომლითაც განისაზღვრა სამშენებლო სამართალდამრღვევის მიერ სამართალდარღვევის აღიარების შემთხვევაში უნებართვოდ ან სამშენებლო დოკუმენტაციის მოთხოვნების დარღვევით წარმოებული მშენებლობის თაობაზე აქტის გამოცემის დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის დაწესების სამართლებრივი შესაძლებლობა. ამასთან, კანონის 6 1 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლის თანახმადაც მშენებლობის სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) შესახებ აქტის გამოცემის დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებელი არ უნდა აღემატებოდეს 40 000 ლარს, რაც წარმოადგენს მოსაკრებლის ზედა ზღვარს. კანონის 6 3 მუხლის თანახმად კი, სამშენებლო სამართალდამრღვევის მიერ სამართალდარღვევის აღიარების შემთხვევაში შესაბამისი მოსაკრებლის გადახდის წესი და ოდენობა განისაზღვრება მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ, რაც მუნიციპალიტეტს ანიჭებს დელეგირებულ ნორმატიულ უფლებამოსილებას. შესაბამისად, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი წარმოადგენს კანონით დადგენილი დელეგირებული ნორმატიული უფლებამოსილების რეალიზაციის სამართლებრივ ინსტრუმენტს და მიზნად ისახავს ადგილობრივი ნორმატიული აქტის ჰარმონიზაციას მოქმედ კანონმდებლობასთან. დადგენილების პროექტის მიზანია: • „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებულ ცვლილებებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა; • მშენებლობის სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემისა და მასში ცვლილების შეტანის დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლების სამართლებრივი მოწესრიგება; • სამშენებლო სამართალდამრღვევის მიერ სამართალდარღვევის აღიარების შემთხვევაში უნებართვოდ ან სამშენებლო დოკუმენტაციის მოთხოვნების დარღვევით

წარმოებული მშენებლობის თაობაზე აქტის გამოცემის დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის დადგენა და შემოღება; • მუნიციპალიტეტის მიერ დელეგირებული უფლებამოსილების ეფექტიანი განხორციელება და ადმინისტრაციული მომსახურების პროცესის ოპტიმიზაცია. • მოსაკრებლის დიფერენცირებული მოდელის დანერგვა, რომელიც ეფუძნება შენობა-ნაგებობის კლასს, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობსა და მომსახურების დაჩქარების ვადას. პროექტით განისაზღვრება შემდეგი მოსაკრებლის ოდენობები: ა.გ.ა) მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღება) თაობაზე აქტის გამოცემის დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის ოდენობა, რომელიც შეადგენს: ა) II კლასის შენობა-ნაგებობებისთვის ან/და შენობა-ნაგებობებისთვის, რომლის საერთო სამშენებლო ფართი არ აღემატება 500 მ² -ს: ა.ა) განცხადების მიღებიდან 3 დღის ვადაში - 10 000 ლარი; ა.ბ) განცხადების მიღებიდან 5 დღის ვადაში - 5 000 ლარი; ა.გ) განცხადების მიღებიდან 10 დღის ვადაში - 2 000 ლარი. ა.დ) მოქმედი კანონმდებლობის თანახმად დადგენილი წესით, მშენებლობის სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღება) თაობაზე, II კლასის შენობა-ნაგებობებისთვის ან/და შენობა-ნაგებობებისთვის, რომლის საერთო სამშენებლო ფართი არ აღემატება 500 მ² -ს, მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს - 25 სამუშაო დღის ვადაში; ბ) III კლასს მიკუთვნებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობით 1500 მ² -მდე და მიწის ზედაპირიდან 14მ-მდე სიმაღლის შენობა-ნაგებობებისთვის: ბ.ა) განცხადების მიღებიდან 3 დღის ვადაში - 20 000 ლარი; ბ.ბ) განცხადების მიღებიდან 5 დღის ვადაში - 15 000 ლარი; ბ.ბ) განცხადების მიღებიდან 10 დღის ვადაში - 10 000 ლარი. ბ.დ) მოქმედი კანონმდებლობის თანახმად დადგენილი წესით, მშენებლობის სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღება) თაობაზე, III კლასს მიკუთვნებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობით 1 500 მ² -მდე და მიწის ზედაპირიდან 14მ-მდე სიმაღლის შენობა-ნაგებობებისთვის, მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს - 25 სამუშაო დღის ვადაში; გ) III კლასის შენობა-ნაგებობებისთვის ან/და შენობა-ნაგებობებისთვის, რომლის საერთო სამშენებლო ფართი არ აღემატება 6000 მ²-ს, გარდა ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობის: გ.ა) განცხადების მიღებიდან 3 დღის ვადაში - 30 000 ლარი; გ.ბ) განცხადების მიღებიდან 5 დღის ვადაში - 20 000 ლარი; გ.ბ) განცხადების მიღებიდან 10 დღის ვადაში - 10 000 ლარი. გ.დ) მოქმედი კანონმდებლობის თანახმად დადგენილი წესით, მშენებლობის სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღება) თაობაზე, III კლასის შენობა-ნაგებობებისთვის ან/და შენობა-ნაგებობებისთვის, რომლის საერთო სამშენებლო ფართი არ აღემატება 6 000 მ² -ს, გარდა ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობის, მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს - 30 სამუშაო დღის ვადაში. დ) IV კლასს მიკუთვნებული შენობა-ნაგებობებისთვის: დ.ა) განცხადების მიღებიდან 5 დღის ვადაში - 40 000 ლარი; დ.ბ) განცხადების მიღებიდან 10 დღის ვადაში - 30 000 ლარი; დ.გ) განცხადების მიღებიდან 15 დღის ვადაში - 20 000 ლარი; დ.დ) მოქმედი კანონმდებლობის თანახმად დადგენილი წესით, მშენებლობის სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღება) თაობაზე, IV კლასს მიკუთვნებული შენობა-ნაგებობებისთვის, მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს დაინტერესებული მხარის მიერ, განაცხადის

წარდგენიდან - 45 სამუშაო დღის ვადაში. ა.გ.ბ) მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღება) თაობაზე აქტივი ცვლილების შეტანის შესახებ დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებელი შეადგენს: ა) განცხადების მიღებიდან 3 დღის ვადაში - 10 000 ლარი; ბ) განცხადების მიღებიდან 5 დღის ვადაში - 5 000 ლარი; გ) განცხადების მიღებიდან 10 დღის ვადაში - 3 000 ლარი. ა.გ.გ) სამშენებლო სამართალდამრღვევის მიერ სამშენებლო სამართალდარღვევის აღიარების შემთხვევაში უნებართვოდ ან სამშენებლო დოკუმენტაციის მოთხოვნების დარღვევით წარმოებული მშენებლობის თაობაზე აქტის გამოცემის დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებელი შეადგენს: ა) II კლასის შენობა-ნაგებობებისთვის ან/და შენობა-ნაგებობებისთვის, რომლის საერთო სამშენებლო ფართი არ აღემატება 500 მ²-ს: ა.ა) განცხადების მიღებიდან 3 დღის ვადაში - 10 000 ლარი; ა.ბ) განცხადების მიღებიდან 5 დღის ვადაში - 5 000 ლარი; ა.გ) განცხადების მიღებიდან 10 დღის ვადაში - 2 000 ლარი. ბ) III კლასის მიკუთვნებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობით 1 500 მ²-მდე და მიწის ზედაპირიდან 14მ-მდე სიმაღლის შენობა-ნაგებობებისთვის: ბ.ა) განცხადების მიღებიდან 3 დღის ვადაში - 20 000 ლარი; ბ.ბ) განცხადების მიღებიდან 5 დღის ვადაში - 15 000 ლარი. ბ.გ) განცხადების მიღებიდან 10 დღის ვადაში - 10 000 ლარი. გ) III კლასის შენობა-ნაგებობებისთვის ან/და შენობა-ნაგებობებისთვის, რომლის საერთო სამშენებლო ფართი არ აღემატება 6 000 მ²-ს, გარდა ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობის: გ.ა) განცხადების მიღებიდან 3 დღის ვადაში - 30 000 ლარი; გ.ბ) განცხადების მიღებიდან 5 დღის ვადაში - 20 000 ლარი. გ.გ) განცხადების მიღებიდან 10 დღის ვადაში - 10 000 ლარი. დ) IV კლასის მიკუთვნებული შენობა-ნაგებობებისთვის: დ.ა) განცხადების მიღებიდან 5 დღის ვადაში - 40 000 ლარი; დ.ბ) განცხადების მიღებიდან 10 დღის ვადაში - 30 000 ლარი; დ.გ) განცხადების მიღებიდან 15 დღის ვადაში - 20 000 ლარი.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა.

ხმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

2. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032605151-03 20.02.2026)

საკითხი წარმოადგინეს - სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსმა თემურ ბოლოთაშვილმა და ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტბემ.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მომზადება განპირობებულია გარკვეული ცვლილებების განხორციელების აუცილებლობით, კერძოდ: „ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების (შემდგომში - წესების) მე-11 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულია კ-1 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი, როგორც შენობისთვის, ასევე ნაგებობისთვის. კ-1 და კ-3 კოეფიციენტები ურთიერთდაკავშირებულია, როდესაც კ-3 კოეფიციენტი არის დაცული, კ-1 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში ნაგებობის ჩათვლის საჭიროება აღარ არსებობს. რაც შეეხება, კ-2 კოეფიციენტთან დაკავშირებულ ცვლილებას, უნდა აღინიშნოს, რომ „შენობის ენერგოეფექტურობის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებით, საჭირო გახდა, შენობის კონტურზე ენერგოეფექტური მასალების დამატება, რამაც განაპირობა არსებული რეგულირების დაზუსტება, რომ მიწისპირა და მიწისზედა სრული სართულის (მათ შორის, ერკერის, კიბის უჯრედის და ლიფტის შახტის) იატაკის კონსტრუქციის გარე კონტურში მოქცეული ფართობი – კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში შედის სრულად. ასევე, სარეკრეაციო ზონა 3-ში ხდება სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დასაშვები სახეობების დაზუსტება, კერძოდ, ემატება სასტუმრო და ბიზნესცენტრი და უქმდება სიმაღლესთან დაკავშირებული 12 მეტრიანი შეზღუდვა. არსებული რეგულირების პირობებში, შეუძლებელი ხდება მიწისქვეშა პარკინგის არსებობა. შესაბამისად, საჭიროა, სიმაღლის ანგარიშისას აღარ იანგარიშებოდეს შენობის მიწისქვეშა ავტოსადგომში ჩასასვლელი სამანქანო პანდუსის ნაწილი და სახურავზე ლიფტის მომსახურებისთვის მოწყობილი შახტა. გამონაკლისის სახით, სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე სპორტული დანიშნულების შენობა-ნაგებობის განთავსებისას, დასაშვები გახდება შენობის განთავსება ერთზე მეტ მიწის ნაკვეთზე. წესების მე-15 მუხლის მე-8 პუნქტს ემატება საგამონაკლისო ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, ამ პუნქტისგან განსხვავებული წესი დადგინდება ამ მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისთვის. წარმოდგენილი ცვლილებების მიზანია პრაქტიკული ცვლილებების ასახვა კანონმდებლობაში, არქიტექტურული პროცესების სწორად მართვა, ასევე ეფექტური და სწორი ქალაქგეგმარებითი განვითარება. განაშენიანების კონტურში არსებული იმგვარი გეგმარებითი ერთეულებისთვის, სადაც დასტურდება საპროექტოდ სზ-6, სსზ-1, სსზ-2 ფუნქციური ზონებით განვითარების მიზანშეწონილობა და საპროექტო ტერიტორია შეადგენს არანაკლებ 5 ჰა-ს, დასაშვებია განხორციელდეს საგამონაკლისო წესების დადგენა, არქიტექტურული გადაწყვეტების მოქნილობისა და ხელშეწყობის მიზნით. ა) მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი ყალიბდება ახალი რედაქციით: მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ახალი რედაქციით მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი კ-1 განისაზღვრება მხოლოდ შენობისთვის და არა ნაგებობისთვის. ბ) მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ყალიბდება ახალი რედაქციით: მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის ახალი რედაქციის მიხედვით, მიწისპირა და მიწისზედა სრული სართულის (მათ შორის ერკერის, კიბის უჯრედის და ლიფტის შახტის) იატაკის კონსტრუქციის გარე კონტურში მოქცეული ფართობი – კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში შედის სრულად. გ) მე-15 მუხლს ემატება შემდეგი შინაარსის მე-11 პუნქტი: „განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში, საპროექტოდ სზ-6, სსზ-1, სსზ-2 ფუნქციური ზონებით განვითარების მიზანშეწონილობის შემთხვევაში, თუკი საპროექტო ტერიტორია შეადგენს არანაკლებ 5 ჰა-ს და მოქცეულია განაშენიანების კონტურში, დასაშვებია კ-1, კ-2, კ-3 კოეფიციენტების დადგენა განხორციელდეს საპროექტო გადაწყვეტის/მთლიანი ტერიტორიის ჯამური საანგარიშო ფართობების შესაბამისად.“. დ) მე-15 მუხლის მე-8 პუნქტი ყალიბდება ახალი რედაქციით: „8. თუ მიწის ნაკვეთი ხვდება ერთზე მეტი კონკრეტული ფუნქციური ზონის მოქმედების არეალში, მაშინ მისი სამშენებლოდ განვითარების განსაზღვრისას არც ერთი ზონის

მოთხოვნა არ უნდა დაირღვეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ერთერთი ზონის ფართობი შეადგენს არანაკლებ მიწის ნაკვეთის 3/4-ს, ასეთ შემთხვევაში მოქმედებს ამ ზონისთვის განსაზღვრული მოთხოვნები, რზ-1-ის რეგლამენტების მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული რეგულირება არ ვრცელდება განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში სამშენებლოდ განვითარებისას, გარდა ამ მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა.“ ე) მე-16 მუხლის პირველი პუნქტის: ე.ა) „ე“ ქვეპუნქტი ყალიბდება ახალი რედაქციით: მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის ახალი რედაქციის მიხედვით, სარეკრეაციო ზონა 3-ში ამოღებულ იქნა სიმაღლესთან დაკავშირებული 12 მეტრიანი შეზღუდვა. ე.ბ) „ლ“ ქვეპუნქტი ყალიბდება ახალი რედაქციით: მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის ახალი რედაქციის მიხედვით, საცხოვრებელ ზონა 3-ში სიმაღლის ანგარიშისას არ იანგარიშება შენობის მიწისქვეშა ავტოსადგომში ჩასასვლელი სამანქანო პანდუსის ნაწილი და სახურავზე ლიფტის მომსახურებისთვის მოწყობილი შახტა. ვ) 29-ე მუხლის მე-3 პუნქტს, „დ“ ქვეპუნქტის შემდეგ, ემატება „ე“ ქვეპუნქტი: 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, სპორტული დანიშნულების შენობის განთავსება დასაშვებია ერთზე მეტ მიწის ნაკვეთზე, თუ საპროექტო მიწის ნაკვეთები სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია. ზ) 30-ე მუხლის მე-15 პუნქტს ემატება „დ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც მე-15 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით დადგენილი მოთხოვნები არ გავრცელდეს წინამდებარე წესების მე-15 მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაზე, იმ პირობით, რომ ერთ ან სხვადასხვა საკადასტრო ერთეულებზე განთავსებულ შენობებს შორის დაშორება განისაზღვრება ჯამში არანაკლებ 20 მეტრისა. თ) 39-ე მუხლის მე-2 პუნქტი ყალიბდება ახალი რედაქციით, სადაც აღინიშნება, რომ „მე-15 მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული რეგულირების შემთხვევაში, ავტოსადგომების აუცილებელი რაოდენობა დადგენილ იქნეს საპროექტო გადაწყვეტის/მთლიანი ტერიტორიის ჯამური კ-2 საანგარიშო ფართობიდან.“ ი) „დანართი 1“ - ის მე-9 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში ხდება ბიზნესცენტრისა და სასტუმროს დამატება.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა.

ხმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლების გამოსყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქთბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №6-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-0326050152-03 19.02.2026)

საკითხი წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №6-14 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლების გამოსყიდვის წესი“ (შემდგომში - „წესი“) არეგულირებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის (შემდგომში - „მუნიციპალიტეტი“) ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში მდებარე ავარიული

საცხოვრებელი სახლების გამოსყიდვის და შემდგომში ამ ტერიტორიის განვითარება/გამოყენების პირობებსა და პროცედურა ამასთან, აღნიშნული დადგენილების მე-6 მუხლი ადგენს ავარიული საცხოვრებელი სახლის გამოსყიდვის მიზნით წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალს. აღნიშნული მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განცხადების მიღების შემდეგ, პროექტის განმახორციელებელი დაინტერესებული პირების ჩართულობით აზუსტებს შემდეგ ინფორმაციას: გამოსასყიდი ავარიული საცხოვრებელი სახლი ან/და მისი მზიდი კონსტრუქციული ელემენტები ავარიულობის ხარისხის მიხედვით მიეკუთვნება V ან IV კატეგორიას, რაც დასტურდება დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილი შენობა-ნაგებობის ან/და მისი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების ავარიულობის ხარისხის (შესაბამისი კატეგორიით) დამადასტურებელი დოკუმენტით, გაცემული სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ. ამდენად, შენობა-ნაგებობის ავარიულობის ხარისხის შესახებ წარმოდგენილ უნდა იყოს აუცილებლად მხოლოდ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, და ამასთანავე, ეს დასკვნა წარდგენილი უნდა იყოს დაინტერესებული პირების მიერ. დადგენილებაში ცვლილების განხორციელების მიზანს წარმოადგენს პროცესის გამარტივება დაინტერესებული პირებისათვის. კერძოდ, განისაზღვრება ის მკაფიო და აშკარა რიგი შემთხვევები, რა დროსაც ავარიულობის ხარისხი შესაძლებელია დადგინდეს როგორც სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, ასევე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის“ დასკვნით. ანუ, პროექტის განმახორციელებელს ექნება შესაძლებლობა, რომ შესაბამისი გარემოებების არსებობის შემთხვევაში, შენობა-ნაგებობის ავარიულობის ხარისხის დადგენის მიზნით მიიღოს ერთ-ერთი დასკვნა. რაც შეეხება შემთხვევებს, თუ რა დროს არის შესაძლებელი შენობა-ნაგებობის ავარიულობის ხარისხი განსაზღვროს ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიამ“: ა) თუ გამოსასყიდი ავარიული საცხოვრებელი სახლი დანგრეულია ან გამოსასყიდ ავარიულ სახლზე განხორციელებულია დემონტაჟი; ბ) თუ გამოსასყიდი ავარიული საცხოვრებელი სახლი ცარიელია და ფაქტობრივი მდგომარეობით არ გამოიყენება საცხოვრებელი ან/და სხვა მიზნით. აქვე ზუსტდება, რომ ორივე ეს შემთხვევა უნდა იყოს შესაბამისი რაიონის გამგეობის მიერ დადასტურებული. ამასთანავე, ავარიულობის ხარისხის შეფასების მიზნით, ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიას“ უნდა მიმართოს გამგეობამ. ვინაიდან, ზემოაღნიშნული წესი წარმოადგენს მუნიციპალიტეტისთვის მკაფიო სამართლებრივი მექანიზმს მოქალაქეთა საკუთრების (ავარიული საცხოვრებელი სახლების) უსაფრთხო და სამართლიანად გამოსყიდვისთვის, რაც ხორციელდება გამჭვირვალობის და მესაკუთრეთა უფლებების მაქსიმალურად დაცვის გარანტიით, წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული ცვლილება რაც დაინტერესებულ მხარეს მისცემს შესაძლებლობას თავად განსაზღვროს შეთავაზებული ალტერნატიული დოკუმენტაციიდან რომელი წარმოადგინოს ავარიული საცხოვრებელი სახლის ავარიულობის ხარისხის დასადგენად, მკაფიოდ განამტკიცებს წესის მიერ დასახულ მიზნებს. ა.ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღების (გამოცემის) მიზანი: დადგენილების მიღების მიზანია, ხელი შეეწყოს ავარიული საცხოვრებელი სახლების გამოსყიდვის პროცესის გამარტივებას. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლს ემატება შემდეგი შინაარსის 3 1 პუნქტი: „3 1 . იმ შემთხვევაში, თუ გამოსასყიდი ავარიული საცხოვრებელი სახლი დანგრეულია ან განხორციელებულია მისი დემონტაჟი, ასევე თუ გამოსასყიდი ავარიული საცხოვრებელი სახლი ცარიელია და ფაქტობრივი მდგომარეობით არ გამოიყენება საცხოვრებელი ან/და სხვა მიზნით, რაც დასტურდება

შესაბამისი რაიონის გამგეობის მიერ, შენობა-ნაგებობის ან/და მისი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების ავარიულობის ხარისხი შესაძლებელია განისაზღვროს ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის“ მიერ, რაიონის გამგეობის მიმართვის საფუძველზე.“

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა.

ხმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

4. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის II მკ/რ-ნი, ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარედ (ნაკვეთი N13); ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის ფერდობების II-III-IV მკ/რ-ნის მიმდებარედ (ნაკვეთი N8); ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის ფერდობზე (ნაკვეთი 15/225) არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: 01.14.16.015.526, ფართობი - 1 366 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 ოქტომბრის N531 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (საკრებულოს № 03-032605493 -23.02.2026)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, 2024 წლის 4 ოქტომბრის სხდომაზე მიღებულ იქნა „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის II მკ/რ-ნი, ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარედ (ნაკვეთი N13); ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის ფერდობების II-III-IV მკ/რ-ნის მიმდებარედ (ნაკვეთი N8); ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის ფერდობზე (ნაკვეთი 15/225) არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: 01.14.16.015.526, ფართობი - 1 366 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 ოქტომბრის N531 განკარგულება. გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული განკარგულება საჭიროებს ტექნიკურ დაზუსტებას და შესაბამისობაში მოყვანას „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის II მიკრორაიონში, ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარედ (ნაკვეთი N13); ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობების II-III-IV მიკრორაიონების მიმდებარედ (ნაკვეთი N8); ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე (ნაკვეთი 15/225) არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: 01.14.16.015.526, ფართობი - 1 366 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 2 ოქტომბრის N24.1662.1865 განკარგულებასთან. კერძოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 2 ოქტომბრის N24.1662.1865 განკარგულების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტი ითვალისწინებს, რომ დაინტერესებულმა პირმა მშენებლობის ნებართვის აღებამდე წარმოადგინოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომზადებული დასკვნა, რომლითაც დადასტურებულ იქნება, რომ გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებული შენობა-ნაგებობის მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე.

აღნიშნული დანაწესი არ არის ასახული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 ოქტომბრის N531 განკარგულებაში. აღსანიშნავია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხსენებულ განკარგულებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების თხოვნით, 2026 წლის 20 თებერვალს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს წერილობითი კორესპონდენციით (N16-01260514137) მომართა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის II მკ/რ-ნი, ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარედ (ნაკვეთი N13); ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის ფერდობების II-III-IV მკ/რ-ნის მიმდებარედ (ნაკვეთი N8); ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის ფერდობზე (ნაკვეთი 15/225) არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: 01.14.16.015.526, ფართობი - 1 366 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 ოქტომბრის N531 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს მე-6 პუნქტის სახით, იმავე რედაქციით, ხოლო მე-5 პუნქტი განისაზღვროს შემდეგი სახით: „5. დაინტერესებულმა პირმა მშენებლობის ნებართვის აღებამდე წარმოადგინოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომზადებული დასკვნა, რომლითაც დადასტურებული იქნება, რომ გამოყენებული ხელშეწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებული შენობა-ნაგებობის მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე. 6. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) კანონმდებლობით დადგენილი წესით.“ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საკრებულოს წევრს უფლება აქვს ინიცირების წესით საკრებულოში წარადგინოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამავე რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საკრებულოსათვის სამართლებრივი აქტის პროექტის ინიცირების წესით წარდგენის უფლება, ამავე პუნქტით განსაზღვრული სხვა პირების გარდა, აქვს საკრებულოს წევრს. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება. შესაბამისად, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განხილვის მიზნით, წინამდებარე წერილზე დანართის სახით წარმოგიდგენთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის II მკ/რ-ნი, ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარედ (ნაკვეთი N13);

ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის ფერდობების II-III-IV მკ/რ-ნის მიმდებარედ (ნაკვეთი N8); ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის ფერდობზე (ნაკვეთი 15/225) არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: 01.14.16.015.526, ფართობი - 1 366 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 ოქტომბრის N531 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" და ასევე თანდართულ მასალებს.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა.

ხმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

5. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა № 13, ქალაქი თბილისი, დიდი დილომი IV მ/რ, №25 კორპუსის მიმდებარედ, მე-2 მ/რ-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.10.06.002.080, ფართობი - 3 442 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-0326043112-03 12.02.2026)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში 2025 წლის 22 დეკემბერს წარდგენილი N01253562577-67 (N01260292066-67) განცხადებით მისამართზე: ქალაქი თბილისი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N13, ქალაქი თბილისი, დიდი დილომი, IV მ/რ, N25 კორპუსის მიმდებარედ, მე-2 მ/რ-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.06.002.080, ფართობი - 3 442 კვ.მ) შესაკუთრემ (შემდგომში - დაინტერესებული პირი) N01.10.06.002.080 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=3.0), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, N01.10.06.002.080 საკადასტრო ერთეულზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) წარმოადგენს მაღალი ინტენსივობის ერთგვაროვან საცხოვრებელ ქვეზონას, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/ დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის თანახმად, საცხოვრებელ ზონა 6 (სზ-6) -ში

ბ) ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.20.01.007.057) ნაწილზე მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა. ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება, კერძოდ საცხოვრებელი სახლისა და ავტოფარეხის განთავსება. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მოქმედი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, 01.20.01.007.057 საკადასტრო ერთეულზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) და სატყეო ზონა. გამწვანებული ტერიტორიების რუკით, სატყეო ზონის არეალში შემოთავაზებულია სატყეო ზონა. ვინაიდან დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება შეუძლებელია არსებულ ფუნქციურ ზონაში (სატყეო ზონა), ამასთან, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე ტერიტორიაზე ერთიან არეალზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1), მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, შენარჩუნდება ერთიანი სახის ზონის სტრუქტურა, საერთო ქალაქგეგმარებითი ხასიათი და შესაბამისად, ფუნქციური ზონის ცვლილებას არ ექნება ფრაგმენტული ხასიათი. ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2025 წლის 14 ნოემბრის N01253183182 წერილის შესაბამისად, თანახმაა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სატყეო ზონა. ვინაიდან საპროექტო ტერიტორია (საკადასტრო კოდი: 01.20.01.007.057) განკარგულია სახელმწიფოს მიერ, საკითხი კომპეტენციის ფარგლებში განსახილველად გადაეგზავნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2026 წლის 16 თებერვლის N61- 0126047464 წერილით, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში მდებარე, 01.20.01.007.057 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონებიდან 405 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის, სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილებისა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის მოხსნის გათვალისწინებით დადგენილ ღირებულებებს შორის სხვაობა 2026 წლის 11 თებერვლის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 184680 (ას ოთხმოცდაოთხი ათას ექვსას ოთხმოცი) ლარს. შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტო თანახმაა განხორციელდეს მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილება, იმ პირობით, თუ ფუნქციური ზონის ცვლილებით განპირობებული ფასთამორისი სხვაობის დაფარვა განხორციელდება სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2026 წლის 12 თებერვლის N000957126 ექსპერტიზის დასკვნის შედგენის თარიღიდან, კერძოდ, 2026 წლის 12 თებერვლიდან არაუგვიანეს 6 (ექვსი) თვის ვადაში და ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ინდივიდუალური

ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდგომ, არაუმეტეს 3 თვის განმავლობაში. ამასთან, ფასის გადახდა წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანის საფუძველს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.20.01.007.057) ნაწილზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა, ფასთაშორისი სხვაობის - 184680 (ას ოთხმოცდაოთხი ათას ექვსას ოთხმოცი) ლარის გადახდის პირობით, მისაღება.

№12-03260512-03 20.02.2026;

ა) ქალაქ თბილისში, მერაბ ალექსიძის ქუჩა, N4-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.13.038.018) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 6-ისა (სზ-6) და სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) სარეკრეაციო ზონა 1-ით (რზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა. ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს N01.10.13.038.018 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე რეკრეაციული სივრცის მოწყობა. აღნიშნულის განხორციელების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საბურთალოს რაიონის გამგეობამ N31-01260432413 (12.02.2026) წერილით და მოითხოვა ქალაქ თბილისში, მერაბ ალექსიძის ქუჩა, N4-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.13.038.018) სარეკრეაციო სივრცის მოწყობა. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მოქმედი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანება. ამავე დადგენილების პირველი მუხლის „ბ“ პუნქტით დამტკიცებული გენერალური გეგმის ტექსტური ნაწილის 68-ე მუხლის თანახმად, თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკა წარმოადგენს დედაქალაქის გამწვანებული ტერიტორიების დაგეგმარების რუკას, რომელზეც დატანილია მონაცემები ქალაქის ტერიტორიაზე არსებული და დაგეგმილი მწვანე ან/და სარეკრეაციო ზონებისა და არეალების შესახებ. თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკაზე დატანილი ზონები და ქვეზონები ატარებს ოპერატიულ ინფორმაციას თბილისში არსებული და დაგეგმილი სარეკრეაციო, სატყეო და ლანდშაფტური სივრცეების შესახებ და მისი გათვალისწინება სავალდებულოა სამშენებლო და გეგმარებითი ნებართვების გაცემის პროცესში. ვინაიდან დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება შეუძლებელია არსებულ ფუნქციურ ზონაში, ამასთან, საპროექტო ტერიტორიაზე სარეკრეაციო სივრცის მოწყობა ხელს შეუწყობს ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და დადგენილებით გათვალისწინებული „მწვანე ქალაქის“ კონცეფციით განსაზღვრული ამოცანების შესრულებას, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, მიზანშეწონილია მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილება სარეკრეაციო სივრცის მოწყობის მიზნით. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) არის

სარეკრეაციო ქვეზონა, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიის საზღვრებში ან მის გარეთ არსებულ/დაგეგმილ გამწვანებულ ტერიტორიებს: ბაღი, ბულვარი, სკვერი, გაზონი და სხვა მსგავსი, გარდა სხვა სარეკრეაციო ზონებში მოქცეულისა. ამავე დადგენილების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარეკრეაციო ზონა 1-ში (რზ-1) დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა: განათების, სარწყავი სისტემის, სარეკლამო ბილბორდის, დეკორატიული გაფორმების ობიექტის, კიბეების, საფეხმავლო გზების ან/და ბილიკებისა. ასევე, დასაშვებია ტრანსპორტის გადაადგილებისთვის განკუთვნილი გზის მოწყობა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2026 წლის 17 თებერვლის N01260483552 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, მერაბ ალექსიძის ქუჩა, N4-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.13.038.018) საცხოვრებელი ზონა 6-ისა (სზ-6) და სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) სარეკრეაციო ზონა 1-ით (რზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, მწვანე ქუჩა, N18-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.09.004.003) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება. ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს საკუთრების უფლების რეგისტრაცია. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიის ნაწილზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1). „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მოქმედი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), რაც ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით ზღუდავს დაინტერესებული პირის კანონიერ უფლებებს მიწის ნაკვეთის რეგისტრაციასთან დაკავშირებით. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) არის სატრანსპორტო ქვეზონა, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში ან/და საზღვრებს გარეთ არსებულ/დაგეგმილ ტრანსპორტის/ქვეითის გადაადგილებისთვის განკუთვნილი გზებს/ქუჩებს, მოედნებს, გზატკეცილებს, ხიდებს, გზაგამტარებს, სარკინიგზო ხაზებს (გასხვისების ზოლის ჩათვლით), მეტროპოლიტენის მიწისზედა ხაზებს, ტრამვაის ხაზებს, ტროტუარებს, ტროტუარის მიმდებარე გაზონს, ზღუდარებს, ქუჩის მომიჯნავე გამწვანებულ ზოლებს, უსაფრთხოების კუნძულებს, გამწვანებულ გზაგამყოფებს, მიწისქვეშა ნაგებობებს/შენობა-ნაგებობებს (მათ შორის მიწისქვეშა ავტოსადგომებს), ასევე თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში ან/და საზღვრებს გარეთ, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის უძრავ ქონებაზე „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განსაზღვრულ პარკირების ადგილებს; ასევე, შპს „საქართველოს ფოსტის“ (ს/ნ 203836233) ჯიხურებს. ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2026 წლის 9 თებერვლის N0126040881 წერილით, ქალაქ თბილისის მერიის ერთიანი რუკისა და განცხადებაში წარმოდგენილი ფოტომასალის შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ვრცელდება ფაქტობრივი შენობა-ნაგებობისა და ღობის ნაწილზე, შესაბამისად, არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, მწვანე ქუჩა, N18-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.09.004.003) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება მისაღება;

გ) ქალაქ თბილისში, აწყურის ქუჩა, N4-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.13.019.005) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება. ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს N01.17.13.019.005 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საზღვრების ფაქტობრივ მდგომარეობასთან შესაბამისობაში მოყვანა და ე.წ. „წითელი ხაზების“ კორექტირება. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) არის სატრანსპორტო ქვეზონა, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში ან/და საზღვრებს გარეთ არსებულ/დაგეგმილ ტრანსპორტის/ქვეითის გადაადგილებისთვის განკუთვნილი გზებს/ქუჩებს, მოედნებს, გზატკეცილებს, ხიდებს, გზაგამტარებს, სარკინიგზო ხაზებს (გასხვისების ზოლის ჩათვლით), მეტროპოლიტენის მიწისზედა ხაზებს, ტრამვაის ხაზებს, ტროტუარებს, ტროტუარის მიმდებარე გაზონს, ზღუდარებს, ქუჩის მომიჯნავე გამწვანებულ ზოლებს, უსაფრთხოების კუნძულებს, გამწვანებულ გზაგამყოფებს, მიწისქვეშა ნაგებობებს/შენობა-ნაგებობებს (მათ შორის მიწისქვეშა ავტოსადგომებს), ასევე თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში ან/და საზღვრებს გარეთ, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის უძრავ ქონებაზე „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განსაზღვრულ პარკირების ადგილებს; ასევე, შპს „საქართველოს ფოსტის“ (ს/ნ 203836233) ჯიხურებს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2026 წლის 18 თებერვლის N01260491004 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მერიის ერთიანი რუკისა და განცხადებაში წარმოდგენილი ფოტომასალის მიხედვით დგინდება, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ვრცელდება ფაქტობრივი შენობა-ნაგებობისა და ღობის ნაწილზე და შესაბამისად, არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, ინტერაქტიულ რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო ტერიტორიის მიღმა არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, აწყურის ქუჩა, N4-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.13.019.005) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ

ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება მისაღება.

№12-032605153-03 20.02.2026;

ქალაქ თბილისში, დავით კობახიძის ქუჩა, N36-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.14.003.234) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების კონფიგურაციის ცვლილება ფართობის უცვლელად. ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს საპროექტო ტერიტორიაზე ორი სასაწყობე შენობის განთავსება. მოთხოვნა არ გულისხმობს გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნას, არამედ მოთხოვნილია საპროექტო ტერიტორიის დასავლეთით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების კონფიგურაციის ცვლილება ფართობის უცვლელად. საპროექტო ტერიტორიაზე, 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად ვრცელდებოდა სამრეწველო ზონა 2 (ს-2). „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის მოქმედი გენერალური გეგმით, N01.19.14.003.234 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანება. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების დანართი N2-ის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკაზე დატანილი ზონები და ქვეზონები ატარებს ოპერატიულ ინფორმაციას თბილისში არსებული და დაგეგმილი სარეკრეაციო, სატყეო და ლანდშაფტური სივრცეების შესახებ და მისი გათვალისწინება სავალდებულოა სამშენებლო და გეგმარებითი ნებართვების გაცემის პროცესში. გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანება ზღუდავს ყველანაირ სამშენებლო გამოყენების სახეობას და ამდენად, მესაკუთრის კანონიერ უფლებებს მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2026 წლის 18 თებერვლის N01260494085 წერილის შესაბამისად, თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების კონფიგურაციის ცვლილება. საპროექტო მიწის ნაკვეთის სამშენებლო რესურსის ეფექტურად გამოყენების თვალსაზრისით და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დადებითი პოზიციის გათვალისწინებით გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა მიზანშეწონილია. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნითა და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დავით კობახიძის ქუჩა, N36-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.14.003.234) გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების კონფიგურაციის ცვლილება ფართობის უცვლელად მისაღება. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან აუცილებელი

ხარჯების გამოყოფას, არ მოახდენს გავლენას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე.

№12-0326043110-03- 12.02.2026

ა) ქალაქ თბილისში, კალოუზნის ქუჩა N40-ში; ქალაქ თბილისში, კალოუზნის ქუჩა N31დ-ში და ქალაქ თბილისში, III მასივი, X კვარტალი, სამხედრო დასახლება, კორპუსი N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: 01.19.20.021.067; 01.19.20.021.068; 01.19.20.021.044; 01.19.20.021.035; 01.19.20.021.029; 01.19.20.021.039; 01.19.20.021.040; 01.19.20.021.041; 01.19.20.021.042; 01.19.20.021.043; 01.19.20.021.072; 01.19.20.021.070; 01.19.20.021.092; 01.19.20.021.084; 01.19.20.021.122; 01.19.20.021.085; 01.19.20.021.062; 01.19.20.021.027; 01.19.20.021.034; 01.19.20.021.020; 01.19.20.021.124) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. საპროექტო ტერიტორიაზე, „ქალაქ თბილისში, კალოუზნის ქუჩა №40 (ნაკვ. 21/023; ნაკვ. 21/024); ქალაქი თბილისი, კალოუზნის ქუჩა №31დ; ქალაქი თბილისი, III მასივი, X კვარტალი, სამხედრო დასახლება, კორპუსი №1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: 01.19.20.021.067; 01.19.20.021.068; 01.19.20.021.044; 01.19.20.021.035; 01.19.20.021.029; 01.19.20.021.039; 01.19.20.021.040; 01.19.20.021.041; 01.19.20.021.042; 01.19.20.021.043; 01.19.20.021.072; 01.19.20.021.070; 01.19.20.021.092; 01.19.20.021.084; 01.19.20.021.122; 01.19.20.021.085; 01.19.20.021.062; 01.19.20.021.027; 01.19.20.021.034; 01.19.20.021.020; 01.19.20.021.124) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 30 იანვრის N34 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო ტერიტორიის მიღმა, კალოუზნის ქუჩის მხარეს, 01.19.20.021.067 და 01.19.20.021.122 საკადასტრო ერთეულების ჩრდილოეთით არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით დარჩენილი სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება, 01.19.20.021.099 (სამხრეთით) საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთსა და 01.19.20.021.092; 01.19.20.021.068 (დასავლეთით) საკადასტრო ერთეულებს შორის არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება, 01.19.20.021.092 საკადასტრო ერთეულის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1), სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა, ასევე, მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და 01.19.20.021.010 საკადასტრო ერთეულის ნაწილსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, კალოუზნის ქუჩა N40-ში; ქალაქ თბილისში, კალოუზნის ქუჩა N31დ-ში და ქალაქ თბილისში, III მასივი, X კვარტალი, სამხედრო დასახლება, კორპუსი N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: 01.19.20.021.067; 01.19.20.021.068; 01.19.20.021.044; 01.19.20.021.035; 01.19.20.021.029;

01.19.20.021.039; 01.19.20.021.040; 01.19.20.021.041; 01.19.20.021.042; 01.19.20.021.043;
 01.19.20.021.072; 01.19.20.021.070; 01.19.20.021.092; 01.19.20.021.084; 01.19.20.021.122;
 01.19.20.021.085; 01.19.20.021.062; 01.19.20.021.027; 01.19.20.021.034; 01.19.20.021.020;

01.19.20.021.124) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ასევე, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სატრანსპორტო ზონა 1-ითა (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება, 01.19.20.021.092 საკადასტრო ერთეულის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1), სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა, ასევე, N01.19.20.021.010 საკადასტრო ერთეულის ნაწილსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა მისაღება;

ბ) ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში მდებარე მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: 81.02.96.607; 81.02.95.411; 81.02.02.305; N81.02.02.570; 81.02.02.318) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე, „ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: 81.02.96.607; 81.02.95.411; 81.02.02.305; 81.02.02.570; 81.02.02.318) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 30 იანვრის N33 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება ცვლილებები, კერძოდ, 81.02.02.318 საკადასტრო ერთეულის ჩრდილო-დასავლეთით, 81.02.02.570 საკადასტრო ერთეულის სამხრეთ-აღმოსავლეთით არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე და ამავე მიწის ნაკვეთის ჩრდილოეთით არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება, ამასთან, 81.02.02.305, 81.02.95.411, 81.02.96.607 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ჩრდილოეთით არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში მდებარე მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: 81.02.96.607; 81.02.95.411; 81.02.02.305; 81.02.02.570; 81.02.02.318) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ასევე, საპროექტო ტერიტორიის მიღმა არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება მისაღება; ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც.

გ) ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, წყაროს თავთან; ქალაქ თბილისში, სოფელ ლისში; ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, შუა მინდვრის ქუჩა N70-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: 72.16.09.176; 72.16.27.035; 72.16.27.152; 72.16.09.177; 72.16.27.041) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. საპროექტო ტერიტორიაზე, „ქალაქ თბილისში, სოფელ ლისში; ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, წყაროს თავთან არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: 72.16.27.152; 72.16.27.041; 72.16.27.035; 72.16.09.177; 72.16.09.176) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 30 იანვრის N32 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, წყაროს თავთან; ქალაქ თბილისში, სოფელ ლისში; ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, შუა მინდვრის ქუჩა N70-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: 72.16.09.176; 72.16.27.035; 72.16.27.152; 72.16.09.177; 72.16.27.041) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა.

ხმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

10. ქალაქ თბილისში, ჟორესის ქუჩა №13-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.19.22.003.045; №01.19.22.003.057; №01.19.22.003.087; №01.19.22.003.024) სასაწყობე კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032603695-03 05.02.2026)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ჟორესის ქუჩა N13-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.19.22.003.045; N01.19.22.003.057; N01.19.22.003.087; N01.19.22.003.024). საპროექტო არეალის ფართობი: 14 801 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1). საპროექტო წინადადებით იგეგმება მოქმედი სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) განვითარება. არსებული ნაკვეთები გაერთიანდება და ჩამოყალიბდება 2 საკადასტრო ერთეული, სასწყობე, საოფისე და დამზადებელი ნაგებობების განთავსების მიზნით. შენობა-ნაგებობის ოდენობა იქნება 8, რომელთა სართულიანობა არ აღემატება 3 სართულს. განვითარების წინადადებით იგეგმება საავტომობილო გზის მოწყობა. შენობის სავარაუდო ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები: საპროექტო ტერიტორიის ჯამური ფართი: 14 801 კვ.მ. არსებული მიწის ნაკვეთების რაოდენობა: 4 საპროექტო მიწის ნაკვეთების რაოდენობა: 2 შენობების რაოდენობა: 8 სართულიანობა: არაუმეტეს 3 სართული/ 15 მეტრი. სავარაუდო ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები: კ1- საპროექტო 0,4 კ2- საპროექტო 0,8 კ3- 0,1

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა 686 კვ.მ არსებული ფუნქციური ზონირება - სამრეწველო ზონა 1 (ს-1) საპროექტო ფუნქციური ზონირება - სამრეწველო ზონა 1(ს-1) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2025 წლის 3 ივნისის N7/28442 წერილის შესაბამისად, უძრავი ქონება (ს/კ 01.19.22.003.024) წარმოადგენს ფიზიკური პირების და სახელმწიფოს თანასაკუთრებას. შესაბამისად, თანამესაკუთრების თანხმობის შემთხვევაში, სააგენტო თავისი კომპეტენციის ფარგლებში არ არის წინააღმდეგი გასცეს თანხმობა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებით გათვალისწინებული ცვლილებების თაობაზე. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2026 წლის 28 იანვრის N01260284127 წერილის შესაბამისად, სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2026 წლის 21 იანვრის N01260211574 (N01252933968 - 20.10.2025) წერილის შესაბამისად, არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა.

ხმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

11. ქალაქ თბილისში, ქვემო ლისში; ქალაქი თბილისი, სოფელი ქვემო ლისზე (საკადასტრო კოდი: N01.72.16.097.011; N072.16.17.352; N072.16.21.804; N01.72.16.097.009; N01.72.16.097.007; N01.72.16.097.008; N072.16.21.080; N01.72.16.097.012) და მიმდებარე დაურეგისტრირებულ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლებისა და სამედიცინო-სპორტულ-სარეაბილიტაციო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს N012-0326043106-03 12.02.2026)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტყემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ქვემო ლისში; ქალაქი თბილისი, სოფელი ქვემო ლისზე (საკადასტრო კოდი: N01.72.16.097.011; N72.16.17.352; N72.16.21.804; N01.72.16.097.009; N01.72.16.097.007; N01.72.16.097.008; N72.16.21.080; N01.72.16.097.012) და მიმდებარე დაურეგისტრირებულ ტერიტორიაზე. საპროექტო არეალის ფართობი: 8 311 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1), ზოგადი სარეკრეაციო ზონა (რზ), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1); გამწვანებული ტერიტორიების რუკით - ზოგადი სარეკრეაციო ზონა (რზ). საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულქალაქგეგმარებითი „A“ არეალში. შესაბამისად, საპროექტო გადაწყვეტისას გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019

წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების დანართი N2-ის 72-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ქალაქგეგმარებითი „A“ არეალის განვითარების რეგლამენტი. საპროექტოდ დაგეგმილია ტერიტორიის 4 ნაწილად გამოჯვნა. ორი მიწის ნაკვეთი განვითარდება სარეკრეაციო ზონა 2-ის ფუნქციით, ტერიტორიაზე დაგეგმილია ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. ერთი მიწის ნაკვეთი დაეთმობა საგზაო ინფრასტრუქტურას და განვითარდება სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1). ერთი მიწის ნაკვეთი, რომელიც მდებარეობს მთავარი გზის გასწვრივ, განვითარდება სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1), მასზე დაგეგმილია სამედიცინო-სპორტულ-სარეაბილიტაციო ცენტრი, რომლის მაქსიმალური სართულიანობაც იქნება 4 მიწისზედა (მაქს. 15მ). სარეკრეაციო ზონა 2-ში მაქსიმალური სართულიანობა: 2 მიწისზედა/ მიწისქვეშა სართული არ მოეწყობა სპეციალური ზონა 1-ში მაქსიმალური სართულიანობა: 4 მიწისზედა/ 2 მიწისქვეშა საპროექტო გზების და კომუნიკაციების მოწყობა იქნება მესაკუთრის ვალდებულება. დაგეგმილია არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟი. შენობის სავარაუდო ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები: ჯამური ფართი: 8 311 კვ.მ კერძო საკუთრება: 4 996 კვ.მ; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი: 3 315 კვ.მ საპროექტო გამოჯვნის რაოდენობა: 4 საპროექტო შენობების რაოდენობა: 3 სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა - 1 სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1): 3 315 კვ.მ სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფართობი : 2 000 კვ.მ სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ1) ფართობი 2 966 კვ.მ სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1) განაშენიანების კოეფიციენტი:კ-1=განაშენიანების ინტენსიობის კოეფიციენტი: კ-2 = მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი: კ-3=0,2; შენობა-ნაგებობა არაუმეტეს 4 სართული. სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) განაშენიანების კოეფიციენტი:კ-1=0,2 განაშენიანების ინტენსიობის კოეფიციენტი: კ-2 = - მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი: კ-3=0,8; შენობა-ნაგებობა არაუმეტეს 2 სართული. არსებული ფუნქციური ზონირება - სამრეწველო ზონა 1 (ს-1), სარეკრეაციო ზონა (რზ) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1); გამწვანებული ტერიტორიების რუკით - ზოგადი სარეკრეაციო ზონა (რზ). საპროექტო ფუნქციური ზონირება - სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1), სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2026 წლის 4 თებერვლის N 61-01260354082 წერილის შესაბამისად, სიპ ქონების მართვის სააგენტო არ არის წინააღმდეგი, დაინტერესებაში არსებული დაურეგისტრირებული სივრცე, რომელიც ქალაქ თბილისის მუნიციპალური ინტერესიდან გამომდინარე შესაძლებელია სამომავლოდ აღირიცხოს მის საკუთრებად, მოექცეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების საპროექტო არეალში და განვითარდეს სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში 2025 წლის 15 დეკემბრის N16-01253494104 წერილით წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად, იმ პირობით, თუ საპროექტო არეალში შემავალი N01.72.16.097.009 მიწის ნაკვეთი განვითარდება სამშენებლოდ. ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ დაფიქსირებულია შემდეგი: განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცებამდე, დაინტერესებული მხარის მიერ უნდა განხორციელდეს წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილებით განპირობებული ფასთა შორისი სხვაობის დაფარვა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2025 წლის 21 ნოემბრის N01253253402 წერილის შესაბამისად, სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, 2026 წლის 9

თებერვლის N01260403865 წერილის შესაბამისად, არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა.

ხმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

12. ქალაქ თბილისში, ზაზა ალექსიძის ქუჩა, №1-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.13.034.040) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-0326043109-03 12.02.2026)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტბეგ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ზაზა ალექსიძის ქუჩა, N 1-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.13.034.040). საპროექტო არეალის ფართობი: 13 120 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-), სარეკრაციო ზონა 1 (რზ-1), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1); ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით - ზონა 1 (რზ-1), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1); ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით - ზონა 1 (რზ-1), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1); ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით - ზონა 1 (რზ-1), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)-ით, სადაც მოეწეობა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსი, საცხოვრებელი და საოფისე ფუნქციებით. შენობის სავარაუდო ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები: საპროექტო ტერიტორიის ჯამური ფართობი (კვ.მ) - 13 120 კვ.მ სულ მიწის ნაკვეთების რაოდენობა (საპროექტო-სავარაუდო) -1; შენობების რაოდენობა - 3 შენობა; შენობა-ნაგებობების მინ. და მაქს. სართულიანობა 6-25; საპროექტო ფუნქციური ზონირება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6),სატრანსპორტო ზონა 1(ტზ-1), სარეკრაციო ზონა 1 (რზ-1); სზ-6 კ1 -0.5 კ2-2.5 კ3-0.3 ტზ-1 კ1-კ2-კ3-0.1 სარეკრაციო ზონა 1 (რზ-1) კ1 -0.2 კ2- კ3-0.8 მრავალბინიან საცხოვრებელ შენობაში პროცენტული გადანაწილება 76%-დან- 100%-მდე საცხოვრებელი ფუნქციით. არსებული ფუნქციური ზონირება: სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-), სარეკრაციო ზონა 1 (რზ-1), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1); ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით - შიდაკვარტალური გამწვანება, სარეკრაციო ზონა 1 (რზ-1). საპროექტო ფუნქციური ზონირება:საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6),სატრანსპორტო ზონა 1(ტზ-1), სარეკრაციო ზონა 1 (რზ-1); ყველა ავტოსადგომის განთავსება განხორცილდება მიწისქვეშ. განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების ეტაპზე წარმოდგენილ იქნეს განახლებული თარიღით დეტალური საინჟინრო გეოლოგია და ფერდის მდგრადობის/გამაგრების დასკვნა, საპროექტო შენობა-ნაგებობის განთავსების არეალის, ფუნქციისა და სართულიანობის გათვალისწინებით. საპროექტო არეალში ზონის ცვლილებით გამოწვეული მაკომპესირებელი ოდენობის დადგენასთან დაკავშირებით საკითხი გადაგზავნილია სსიპ ქონების მართვის სააგენტოში, 2026 წლის 03 თებერვლის N16-01260343518 წერილით, შესაბამისად განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების სტადიაზე

წარმოდგენილ იქნეს სსიპ ქონების მართვის სააგენტოს პოზიცია; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2026 წლის 2 თებერვლის N01260334465 წერილის შესაბამისად, სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გვერდითი დავალება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2026 წლის 9 თებერვლის N01260401639 წერილის შესაბამისად, არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გვერდითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა.

ხმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

13. ქალაქ თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობაში; ქალაქი თბილისი, თბილისის ზღვის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, დავით იოსელიანის ქუჩა, №63, №65, №69-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: №81.21.06.784; 81.21.06.571; 81.21.06.400; 81.21.01.352; 81.21.06.432; 81.21.06.619; 81.21.06.635; 81.21.06.636; 81.21.06.783; 81.21.01.981; 81.21.06.008) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გვერდითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-0326043128-03 12.02.2026)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტინძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობაში; ქალაქი თბილისი, თბილისის ზღვის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, დავით იოსელიანის ქუჩა, №63, №65, №69- ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: NN81.21.06.784; 81.21.06.571; 81.21.06.400; 81.21.01.352; 81.21.06.432; 81.21.06.619; 81.21.06.635; 81.21.06.636; 81.21.06.783; 81.21.01.981; 81.21.06.008) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე. საპროექტო არეალის ფართობი: 12 220 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სარეკრაციო ზონა 2 (რზ-2); ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით - სარეკრაციო ზონა 2 (რზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)-ით, სადაც მოეწყობა ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანება; შენობის სავარაუდო ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები: საპროექტო ტერიტორიის ჯამური ფართობი (კვ.მ) - 12 220 კვ.მ. დაურეგისტრირებელი ტერიტორია დაახლოებით 2870 კვ.მ, რომელიც განკუთვნილია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისთვის; სულ მიწის ნაკვეთების რაოდენობა (საპროექტო-სავარაუდო) -13; შენობების რაოდენობა - 11 შენობა; შენობა-რაოდენობის მაქსიმალური სიმაღლე - 12 მეტრი; საპროექტო ფუნქციური ზონირება: სარეკრაციო ზონა 2 (რზ-2), სატრანსპორტო ზონა 1(ტზ-1); რზ-2 კ1 -0.2 კ2- კ3-0.8 ტზ-1 კ1- კ2- კ3-0.1 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39

დადგენილების მე-8 მუხლის 3 3 შესაბამისად, იმავე მუხლის 11 1 და მე-13 პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის ეტაპზე - წარმოსადგენია წყალმომარაგების დეტალური პროექტი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2026 წლის 30 იანვრის N01260304056 წერილის შესაბამისად, სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, 2026 წლის 9 თებერვლის N01260403630 წერილის შესაბამისად, არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2025 წლის 17 დეკემბრის N61-01253513526 წერილის შესაბამისად, სსიპ - ქონების მართვის სააგენტო არ არის წინააღმდეგი, დაინტერესებაში არსებული დაურეგისტრირებელი სივრცე, რომელიც ქალაქ თბილისის მუნიციპალური ინტერესიდან გამომდინარე შესაძლებელია სამომავლოდ აღირიცხოს მის საკუთრებად, მოექცეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების საპროექტო არეალში, გამოყენებულ იქნეს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად და განვითარდეს სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში 2025 წლის 01 დეკემბრის N16-0125335135 წერილით წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა.

ხმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

14. ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარცხენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.16.011.011) მრავალფუნქციური და ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე(საკრებულოს N12-0326043131-03 12.02.2026)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტბეძე. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარცხენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.16.011.011). საპროექტო არეალის ფართობი: 95 346 კვ.მ. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), სატყეო ზონა და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1); გამწვანებული ტერიტორიების ფენით შემოთავაზებული რეკრეაციული ზონა 2 (რზ-2) და სატყეო ზონა. შემოთავაზებული წინადადებით დაგეგმილია საპროექტო ტერიტორიის (ფართობით 95346კვ.მ) 49 მიწის ნაკვეთად გამოიჯვნა. ნაკვეთ N1-ზე დაგეგმილია კაფე/რესტორნის განთავსება. გავრცელდება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) და საჯარო სერვიტუტი

(141.8კვ.მ). ნაკვეთი №2- სსზ-3-ში კომერციული -100%; განთავსდება დაბალსართულიანი კომერციული შენობა (არაუმეტეს 4 მიწისზედა და 2 მიწისქვეშა სართული). ყველა სართული განკუთვნილი იქნება კომერციული ფუნქციის და მისი ფუნქციონირებისთვის დამხმარე, ტექნიკური სივრცეებისთვის. გავრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3 (სსზ-3). ასევე, სატყეო ზონა და საჯარო სერვიტუტი. ნაკვეთი N3 - არასამშენებლო მიწის ნაკვეთია. გავრცელდება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), სატყეო ზონა და საჯარო სერვიტუტი. ნაკვეთები N4 - N40-ის ჩათვლით და N42-44 ჩათვლით განვითარდება სამშენებლოდ და განთავსდება 39 ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი. გავრცელდება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). ნაკვეთი N41-ზე შენარჩუნდება არსებული წყლის რეზერვუარი (ფართობი-595კვ.მ). გავრცელდება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). ნაკვეთი N46-N49-ის ჩათვლით განთავსდება-სატრანსპორტო ზონა 2 (რზ-2). ნაკვეთი N45 - (ფართობი 16427კვ.მ) დაეთმობა საგზაო ინფრასტრუქტურას და გავრცელდება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). საპროექტოდ არსებული სატყეო ზონა და გამწვანებული ტერიტორიების ფენით შემოთავაზებული სატყეო ზონა (ფართობით - 18 234.7კვ.მ) N2; N3 ნაკვეთების ნაწილზე შენარჩუნდება. შენობის სავარაუდო ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები: საპროექტო არეალის ჯამური ფართობი : 95 346კვ.მ გამოიჯნული მიწის ნაკვეთის რაოდენობა - 49 ნაკვეთი. საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3 (სსზ-3) - 10930.7კვ.მ; სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) - 49753.6კვ.მ; სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) - 16426.8კვ.მ; სატყეო ზონა - 18234.7კვ.მ; საპროექტო შენობების რაოდენობა: - 41 ძირითადი შენობა. მაქსიმალური სართულიანობა - სსზ-3-ში - 4 მიწისზედა/2 მიწისქვეშა სართული. (მაქსიმალური სიმაღლე - 15მ); რზ-2 - ში - 2 მიწისზედა/1 მიწისქვეშა სართული. (მაქსიმალური სიმაღლე - 12მ); გამწვანებული ტერიტორიის ფართობი - 62 218კვ.მ. ნაკვეთი №1, №2 და №3-ს გავრცელებული სერვიტუტის ჯამური ფართობი - 1639.3კვ.მ. სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) - ფართობი: 49 753.6კვ.მ; კ1 = 0,2 კ2 = (საპროექტო 0,4) კ3 = 0,8 საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3 (სსზ-3) - ფართობი: 10930.7კვ.მ; კ1 = 0,7 კ2 = (საპროექტო 2,8) კ3 = 0,2 სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) - ჯამური ფართობი: 16427კვ.მ; ნაკვეთი N43 - 7930კვ.მ (დაურეგისტრირებული ტერიტორია) და ნაკვეთი N44 - (კერძო ნაკვეთებიდან გზისთვის გამოყოფილი ტერიტორიის ჯამური ფართობია 2947კვ.მ) გამოყოფილია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად. კ1 = - კ2 = - კ3 = 0,1 არსებული ფუნქციური ზონირება - სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) (75316.3კვ.მ), სატყეო ზონა (18234.7კვ.მ) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) (1805.4კვ.მ); გამწვანებული ტერიტორიების ფენით შემოთავაზებული რეკრეაციული ზონა 2 (რზ-2) და შემოთავაზებული სატყეო ზონა. საპროექტო ფუნქციური ზონირება - საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3 (სსზ-3) - 10930.7კვ.მ; სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) - 49753.6კვ.მ; სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) - 16426.8კვ.მ; სატყეო ზონა - 18234.7; ფუნქციური ზონის ცვლილებასთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2026 წლის 16 იანვრის N61-0126016473 წერილის შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცებამდე, დაინტერესებული მხარის მიერ უნდა განხორციელდეს წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილებით განპირობებული ფასთა შორისი სხვაობის დაფარვა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2026 წლის 28 იანვრის N01260283329 წერილის შესაბამისად, სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2026 წლის 30 იანვრის N01260301643 წერილის შესაბამისად, არ არის

წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა.

ხმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

15. ქალაქ თბილისში, ალექსანდრე თვალჭრელიძის IV შესახვევი, № 7, №3, №5; ქალაქი თბილისი, თვალჭრელიძის 4 შეს. №1-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №01.19.18.007.016; №01.19.18.007.048; №01.19.18.007.043; №01.19.18.007.018; №01.19.18.007.050; №01.19.18.007.056; №01.19.18.007.053) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032604864-03 17.02.2026)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ალექსანდრე თვალჭრელიძის IV შესახვევი, N 7, N3, N5; ქალაქი თბილისი, თვალჭრელიძის 4 შეს. N1-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №01.19.18.007.016; №01.19.18.007.048; №01.19.18.007.043; №01.19.18.007.018; №01.19.18.007.050; №01.19.18.007.056; №01.19.18.007.053) და დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე. საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობია: 30 365 კვ.მ. საპროექტო ტერიტორიამდე მისვლა ხდება დასავლეთ მხარეს ალექსანდრე თვალჭრელიძის ქუჩიდან, რომელიც უკავშირდება კახეთის გზატკეცილს. საპროექტო წინადადებით დაგეგმილია მიწის ნაკვეთების საზღვრების ცვლილება. არეალში საპროექტო ნაკვეთებს შორის არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორია (ჯამური ფართობით 105 კვ.მ) გადაგეგმარდება საპროექტო არეალს მიღმა ჩრდილო-აღმოსავლეთით აღ. თვალჭრელიძის შესახვევის მხარეს. შესაბამისად, არეალის ჯამური ფართობის 30470 კვ.მ-ის ნაცვლად შეადგენს 30365კვ.მ-ს. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1), მცირეზე ნაწილზე სატრანსპორტო ზონა (ტზ-1), ხოლო გამწვანებული ტერიტორიების რუკით ურბანული გამწვანება (შიდა კვარტალური). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2024 წლის 19 აგვისტოს N61-01242323424 წერილის შესაბამისად, სსიპ ქონების მართვის სააგენტო არ არის წინააღმდეგი დაინტერესებაში არსებული დაურეგისტრირებელი სივრცე მოექცეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების საპროექტო არეალში. შემოთავაზებული წინადადებით დაგეგმილია 7 საკადასტრო ერთეულის გაერთიანება და გამოჯვანა 3 ნაკვეთად, რომლებზეც დაგეგმილია 3 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსება. საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელდება ფუნქციური ზონა საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6); ნაკვეთი N1 - 9154 კვ.მ; ნაკვეთი N2 - 9998 კვ.მ; ნაკვეთი N3 - 11213 კვ.მ; საპროექტო ტერიტორიაზე შესვლა ხდება სამხრეთით ალექსანდრე თვალჭრელიძის შესახვევის მხრიდან.

